

# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6  
2019 წლის 25 იანვარი

## ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03.01.2018, 010250020.35.163.016370).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულება“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) თელავის მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების კოორდინაციას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის/დეფექტური აქტების შედგენას ისეთი კატეგორიის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, რომლებიც არ საჭიროებს პროექტის/ნახაზის შემუშავებას და შესაძლებელია განხორციელდეს აზომვითი სამუშაოების საფუძველზე მომზადებული შესაბამისი აქტის მიხედვით.“.

### მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

გიგა ორკოდაშვილი

